საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია

გადაწყვეტილება

N გ-19-18/381
27/06/2019

381-შ-19-1-4-201906271209

შპს „ტელეიმედისთვის“ ადმინისტრაციული პასუხიმგებლობის დაკისრების თაობაზე

I. საქმის აღწერა

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია (შემდგომში „კომისია“) აღნიშნავს, რომ კომისიის აპარატის აუდიო-ვიზუალური მედია მომსახურებების რეგულირების დეპარტამენტის სამსახურებრივი ბარათის (N19-10-968, 07.06.19) საფუძველზე, „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის მარეგულირებელი წესების“ 36-ე მუხლის მე-14 პუნქტის შესაბამისად, კომისიაში 2019 წლის 17 ივნისს დაიწყო მარტივი ადმინისტრაციული წარმოება შპს ,,ტელეიმედისთვის“ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე, მის მიერ მაუწყებლობის სფეროში მოქმედი კანონმდებლობის დარღვევის გამო.

კომისიის აპარატის აუდიო-ვიზუალური მედია მომსახურებების რეგულირების დეპარტამენტის სამსახურებრივი ბარათიდან ირკვევა, რომ აუდიო-ვიზუალური მედია მომსახურებების რეგულირების დეპარტამენტის მიერ 2019 წლის 8-12 მაისის პერიოდში განხორციელდა შპს ,,ტელეიმედის“ სამაუწყებლო ბადეში განთავსებული პროგრამების მონიტორინგი - სპონსორობის წესების, პროდუქტის (საქონლის/მომსახურების) განთავსებისა და ტელეშოპინგის განთავსების მართლზომიერების დადგენის მიზნით.

ზემოაღნიშნული მონიტორინგის შედეგად ირკვევა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

1. შპს „ტელეიმედის“ ეთერში განთავსებულია გადაცემა „კულინარიული დუელი“. აღნიშნული გადაცემის ფარგლებში 2019 წლის 11 მაისს გადაცემის წამყვანი საუბრობს: „ახლა თქვენ გამოაღეთ ჩვენი ბეკოს მაცივრები, ნახეთ ის ინგრედიენტები, ამასობაში მე ჩვენს მაყურებელს ვეტყვი, რომ ბეკო 21 წელი ბაზარზეა, აბსოლუტურად მთავარი პრიორიტეტი ამ კომპანიისა არის ხარისხი, რომელიც ურყევია, არასოდეს არ ფუჭდება ბეკო. დამონტაჟება, მიტანა რომ უფასოა, ამაზე არაერთხელ გვილაპარაკია, მოკლედ, ისინი ჩვენი მეგობრები არიან და...“ სტუმარი: „ძალიან მაგარი კომპანიაა, ოქროს ადამიანები სათავეშიც... გვერდშიუდგანან ხელოვან ხალხს და მადლობა მათ ამისთვის“.

წამყვანი ამის შემდეგ გადაერთვება „ჩეროს“ წვენებზე და პირდაპირ მოუწოდებს მაყურებელს: „ჩერო, არ შეაჩერო სიამოვნება და მიიღე უგემრიელესი ბროწეულის წვენი. შვილებს შეგიძლიათ

დაალევინოთ იმიტომ, რომ პირველი ასეპტიკური ტექნოლოგიით დამზადებული წვენია საქართველოში და მე სახლშიც გაგატანთ ორივეს...“

2. შპს „ტელეიმედის“ ეთერში ასევე განთავსებულია გადაცემა „ექიმები“. გადაცემის ფარგლებში 2019 წლის 12 მაისს წამყვანი საუბრობს: „კობის წყალს შემოგთავაზებთ. კარგი წყალია. მინერალური წყლის კობის შემადგენლობაში ნაკლები მარილი და სასარგებლო მინერალების მაღალი შემცველობაა, რაც ჯანმრთელობისათვის ძალიან სასარგებლოა. გაზირებული მინერალური წყლის კობის სათავე ზღვის დონიდან 2080 მეტრზე მდებარეობს კავკასიონის მთებში, ყაზბეგის რაიონში.“

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე–2 მუხლის ჰ[17])ქვეპუნქტის შესაბამისად, პროგრამაში პროდუქტის (საქონლის/მომსახურების) განთავსება (Product Placement) არის საფასურის ან სხვა ეკონომიკური სარგებლის სანაცვლოდ პროდუქტის შესახებ ინფორმაციის ნებისმიერი ფორმით გავრცელება, რაც გამოიხატება პროგრამაში ამ პროდუქტის ინტეგრირებით, პროდუქტზე მითითებით ან/და მომსახურებასა და სასაქონლო ნიშანზე მითითებით;

აღსანიშნავია, რომ „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 69[1] მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, პროგრამაში პროდუქტის (საქონლის/მომსახურების) განთავსება ისე უნდა მოხდეს, რომ: ა) მან გავლენა არ მოახდინოს პროგრამის შინაარსზე, მათ შორის, მაუწყებლის სარედაქციო დამოუკიდებლობაზე; ბ) ის არ შეიცავდეს პროდუქტის შეძენისაკენ პირდაპირ მოწოდებას; გ) მან პროდუქტს გადაჭარბებული მნიშვნელობა არ მიანიჭოს.

ზემოაღნიშნული სიუჟეტების შესწავლის საფუძველზე დეპარტამენტს მიაჩნია, რომ აღნიშნულ სიუჟეტები არღვევს „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 69[1] მუხლის მე-2 პუნქტს, ვინაიდან სიუჟეტებში პროდუქტს ენიჭება გადაჭარბებული მნიშვნელობა და ისმის პროდუქტის შეძენისკენ პირდაპირი მოწოდებები.

შპს ,,ტელეიმედისთვის“ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე, კომისიაში დაიწყო მარტივი ადმინისტრაციული წარმოება, რის თაობაზეც შეტყობინებით ეცნობა შპს „ტელეიმედს“ და ეთხოვა საკითხთან დაკავშირებული მოსაზრებებისა და მტკიცებულებების კომისიაში წარმოდგენა. კომპანიას ასევე განემარტა მისი უფლებები საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 98-ე და 99-ე მუხლების შესაბამისად მტკიცებულებებისა და შუამდგომლობების წარმოდგენის, აგრეთვე, საქმის გარემოებათა გამოკვლევისა და ადმინისტრაციული მასალების გამოთხოვასთან დაკავშირებით.

2019 წლის 20 ივნისს ჩანიშნული სხდომა, შპს „ტელეიმედის“ იურისტის ა. ლაშხის შუამდგომლობის საფუძველით გადაიდო 2019 წლის 27 ივნისს, რის თაობაზეც, შპს „ტელეიმედის“ წარმომადგენლი გაფრთხილდა კანონის შესაბამისად.

შპს „ტელეიმედისთვის“ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების საკითხზე კომისიამ იმსჯელა 2019 წლის 27 ივნისის სხდომაზე. კომისიის სხდომაზე გამოცხადდა შპს „ტელეიმედის“ იურისტი ნ. ფაშალიშვილი, რომელმაც აღიარა დარღვევა და განაცხადა, რომ შპს „ტელეიმედი“ იცავს მაუწყებლობის სფეროში მოქმედ კანონმდებლობას და ბოლო ერთი წლის განმავლობაში, პირველად განთავსდა მაუწყებლის სამაუწყებლო ბადეში ისეთი სიუჟეტი, სადაც პროდუქტს მიენიჭა გადაჭარბებული მნიშვნელობა.

II. კომისიის მიერ გამოკვლეული მტკიცებულებები:

1. კომისიის აპარატის აუდიო-ვიზუალური მედია მომსახურებების რეგულირების დეპარტამენტის სამსახურებრივი ბარათი თანდართული CD-ით (N19-10-968, 07.06.19);

2. შპს ,,ტელეიმედის“ შესახებ მონაცემები კომისიის უწყებრივი რეესტრიდან და მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა საჯარო რეესტრიდან;

3. შპს ,,ტელეიმედის“ წარმომადგენლის ა.ლაშხის მიერ კომისიის 2019 წლის 20 ივნისის სხდომაზე მიცემული ახსნა-განმარტება;

4. შპს ,,ტელეიმედის“ წარმომადგენლის ნ. ფაშალიშვილის მიერ კომისიის 2019 წლის 27 ივნისის სხდომაზე მიცემული ახსნა-განმარტება;

III. კომისიის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები

1. შპს ,,ტელეიმედი“ წარმოადგენს მაუწყებლობის სფეროში ავტორიზებულ პირს (მაუწყებლობის სახე: ტელემაუწყებლობა, მაუწყებლობის სახეობა: კერძო მაუწყებლობა, მაუწყებლობის ქვესახეობა: საერთო ტელემაუწყებლობა, ავტორიზაციის თარიღი:15.07.2015; ავტორიზაციის ნომერი: BR-264);

2. ა)შპს „ტელეიმედის“ ეთერში განთავსებულია გადაცემა „კულინარიული დუელი“. აღნიშნული გადაცემის ფარგლებში 2019 წლის 11 მაისს გადაცემის წამყვანი საუბრობს: „ახლა თქვენ გამოაღეთ ჩვენი ბეკოს მაცივრები, ნახეთ ის ინგრედიენტები, ამასობაში მე ჩვენს მაყურებელს ვეტყვი, რომ ბეკო 21 წელი ბაზარზეა, აბსოლუტურად მთავარი პრიორიტეტი ამ კომპანიისა არის ხარისხი, რომელიც ურყევია, არასოდეს არ ფუჭდება ბეკო. დამონტაჟება, მიტანა რომ უფასოა, ამაზე არაერთხელ გვილაპარაკია, მოკლედ, ისინი ჩვენი მეგობრები არიან და...“ სტუმარი: „ძალიან მაგარი კომპანიაა, ოქროს ადამიანები სათავეშიც... გვერდშიუდგანან ხელოვან ხალხს და მადლობა მათ ამისთვის“.

წამყვანი ამის შემდეგ გადაერთვება „ჩეროს“ წვენებზე და პირდაპირ მოუწოდებს მაყურებელს: „ჩერო, არ შეაჩერო სიამოვნება და მიიღე უგემრიელესი ბროწეულის წვენი. შვილებს შეგიძლიათ დაალევინოთ იმიტომ, რომ პირველი ასეპტიკური ტექნოლოგიით დამზადებული წვენია საქართველოში და მე სახლშიც გაგატანთ ორივეს...“

ბ) შპს „ტელეიმედის“ ეთერში ასევე განთავსებულია გადაცემა „ექიმები“.გადაცემის ფარგლებში 2019 წლის 12 მაისს წამყვანი საუბრობს: „კობის წყალს შემოგთავაზებთ. კარგი წყალია. მინერალური წყლის კობის შემადგენლობაში ნაკლები მარილი და სასარგებლო მინერალების მაღალი შემცველობაა, რაც ჯანმრთელობისათვის ძალიან სასარგებლოა. გაზირებული მინერალური წყლის კობის სათავე ზღვის დონიდან 2080 მეტრზე მდებარეობს კავკასიონის მთებში, ყაზბეგის რაიონში.“

IV. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები და დასაბუთება

1. „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 45^1 მუხლის მე-10 პუნქტის ა) ქვეპუნქტის შესაბამისად, ავტორიზებული პირი ვალდებულია დაიცვას მაუწყებლობის სფეროში მოქმედი კანონმდებლობა, მათ შორის, კომისიის დადგენილებები და გადაწყვეტილებები; მაუწყებლობის სფეროში მოქმედ კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანის შემთხვევაში უზრუნველყოს ავტორიზებული საქმიანობის მათთან შესაბამისობა;

2. „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 70-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მაუწყებელი ვალდებულია უზრუნველყოს მის მიერ გადაცემული პროგრამების, რეკლამისა და

სპონსორების შესახებ ინფორმაციის საქართველოს კანონმდებლობასთან და ლიცენზიის/ავტორიზაციის პირობებთან შესაბამისობა;

3. „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის ჰ)[17] ქვეპუნქტის შესაბამისად, პროგრამაში პროდუქტის (საქონლის/მომსახურების) განთავსება (Product Placement) არის საფასურის ან სხვა ეკონომიკური სარგებლის სანაცვლოდ პროდუქტის შესახებ ინფორმაციის ნებისმიერი ფორმით გავრცელება, რაც გამოიხატება პროგრამაში ამ პროდუქტის ინტეგრირებით, პროდუქტზე მითითებით ან/და მომსახურებასა და სასაქონლო ნიშანზე მითითებით;

4. ,,მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის ჰ[9]) ქვეპუნქტის შესაბამისად, სპონსორობა არის პროგრამის მომზადების ან ეთერში გადაცემის პირდაპირი ან ირიბი დაფინანსება ან თანადაფინანსება პირის მიერ, მისი სახელის, სავაჭრო ნიშნის, იმიჯის, საქმიანობის განვითარების რეკლამირების მიზნით;

5. „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 69[1] მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, პროგრამაში პროდუქტის (საქონლის/მომსახურების) განთავსება ისე უნდა მოხდეს, რომ: ა) მან გავლენა არ მოახდინოს პროგრამის შინაარსზე, მათ შორის, მაუწყებლის სარედაქციო დამოუკიდებლობაზე; ბ) ის არ შეიცავდეს პროდუქტის შეძენისაკენ პირდაპირ მოწოდებას; გ) მან პროდუქტს გადაჭარბებული მნიშვნელობა არ მიანიჭოს;

6. „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 71-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მაუწყებლის მიერ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის ან კომისიის გადაწყვეტილების შეუსრულებლობის, აგრეთვე ლიცენზიის/ავტორიზაციის პირობების დარღვევის შემთხვევაში კომისია ვალდებულია განიხილოს შესაბამისი საკითხი. დარღვევის ფაქტის დადასტურების შემთხვევაში კომისია უფლებამოსილია მაუწყებელი წერილობით გააფრთხილოს. კომისიის მიერ მაუწყებლის მიმართ სანქციის გამოყენების მიზანი უნდა იყოს დარღვევის აღმოფხვრა ან პრევენცია. კომისია მაუწყებელს განუსაზღვრავს გონივრულ ვადას დარღვევის აღმოფხვრისათვის ან პრევენციისათვის ღონისძიებათა განსახორციელებლად, ხოლო მე-2 პუნქტის თანახმად, კომისია ვალდებულია მაუწყებელს დააკისროს ჯარიმა, თუ მან ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ გაფრთხილებაში მითითებულ ვადაში არ აღმოფხვრა გაფრთხილებაში აღნიშნული დარღვევა ან არ შეასრულა კომისიის გადაწყვეტილება, აგრეთვე თუ მან ზემოაღნიშნული გაფრთხილების მიღებიდან 1 წლის განმავლობაში ჩაიდინა ახალი დარღვევა;

კომისია აღნიშნავს, რომ შპს ,,ტელეიმედი“, როგორც მაუწყებელი, ვალდებულია შეასრულოს მაუწყებლობის სფეროში მოქმედი კანონმდებლობის, მათ შორის, კომისიის დადგენილებებითა და გადაწყვეტილებებით გათვალისწინებული მოთხოვნები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კომისიას მიაჩნია, რომ:

1. შპს „ტელეიმედი“-ის სამაუწყებლო ბადეში 2019 წლის 11 და 12 მაისს განთავსებული გადაცემების - „კულინარიული დუელი“ და „ექიმების“ სიუჟეტებში პროდუქტის განთავსებისას პროდუქტს ენიჭება გადაჭარბებული მნიშვნელობა და სიუჟეტები შეიცავენ პროდუქტის შეძენისკენ პირდაპირ მოწოდებას, რითაც შპს „ტელეიმედის“ მიერ დარღვეულია „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 45[1] მუხლის მე-10 პუნქტის ა) ქვეპუნქტი, 69[1] მუხლის მე-2 პუნქტის ბ) და გ) ქვეპუნქტები და 70-ე მუხლის პირველი პუნქტი.

იმის გათვალისწინებით, რომ შპს ,,ტელეიმედის“ მიმართ ბოლო ერთი წლის განმავლობაში გამოყენებული არ ყოფილა ,,მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის არცერთი სახე მსგავსი დარღვევისათვის, კომისიას მიაჩნია, რომ შპს ,,ტელეიმედის“ უნდა მიეცეს წერილობითი გაფრთხილება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე, 95-ე, 96-ე, 97-ე, 98-ე და 99-ე მუხლების, ,,მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის ჰ[9]) და ჰ[17]) ქვეპუნქტების, 45[1] მუხლის მე-10 პუნქტის ა) ქვეპუნქტის, 69[1] მუხლის მე-2 პუნქტის ბ) და გ) ქვეპუნქტებისა და 70-ე მუხლის პირველი პუნქტის, შესაბამისად, კომისიამ კენჭისყრის შედეგად, ერთხმად

გადაწყვიტა:

1. შპს ,,ტელეიმედს“ მიეცეს გაფრთხილება ,,მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 45[1] მუხლის მე-10 პუნქტის ა) ქვეპუნქტის, 69[1] მუხლის მე-2 პუნქტის ბ) და გ) ქვეპუნქტების და 70-ე მუხლის პირველი პუნქტის დარღვევის გამო;
2. დაევალოს კომისიის აპარატის ადმინისტრაციას (ო. ვოტი) ამ გადაწყვეტილების შპს ,,ტელეიმედისთვის“ დაუყოვნებლივ გაგზავნა;
3. დაევალოს კომისიის აპარატის სამართლებრივ დეპარტამენტს (ნ. ამირიძე) ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე ინფორმაციის კომისიის ავტორიზებულ პირთა უწყებრივ რეესტრში შეტანის უზრუნველყოფა;
4. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ.თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე–12 კმ., №6) გადაწყვეტილების შპს „ტელეიმედისთვის“ ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში;
5. გადაწყვეტილება ძალაში შედის მისი დამოწმებული ასლის შპს „ტელეიმედისთვის“ ჩაბარების დღიდან;
6. კონტროლი წინამდებარე გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს კომისიის აპარატის აუდიო-ვიზუალური მედია მომსახურებების რეგულირების დეპარტამენტს (ი. მახარაძე).

კახი ბექაური

კომისიის თავმჯდომარე

ელისო ასანიძე

კომისიის წევრი

მერაბ ქათამაძე

კომისიის წევრი